საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №26

2025 წლის 7 მარტი

ქ. თბილისი

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების სპეციალური ოპერაციების სარდლობის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2023 წლის 7 ნოემბრის №107 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების სპეციალური ოპერაციების სარდლობის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2023 წლის 7 ნოემბრის №107 ბრძანებაში (ვებგვერდი, 08/11/2023; სარეგისტრაციო კოდი: 120000000.22.026.017146) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) საბრძოლო უზრუნველყოფის ასეული;“.

ბ) მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) საბრძოლო უზრუნველყოფის ასეული:

ვ.ა) ახორციელებს სარდლობის მმართველობისა და შტაბის დისლოკაციის ადგილების დაცვისა და უსაფრთხოების ღონისძიებებს;

ვ.ბ) ახორციელებს სარდლობის ლოჯისტიკურ უზრუნველყოფას;

ვ.გ) უზრუნველყოფს სარდლობის მმართველობისა და შტაბის სატრანსპორტო მომსახურებას;

ვ.დ) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს აღმოსავლეთ საქართველოში განთავსებულ სარდლობის ქვედანაყოფების სამედიცინო მხარდაჭერას;

ვ.ე) ახორციელებს სარდლობის შტაბის კავშირით უზრუნველყოფას დისლოცირებად და სტაციონარულ პირობებში;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2025 წლის 17 მარტიდან.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ირაკლი ჩიქოვანი**